საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 24 ოქტომბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 74

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე" პუნქტის, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ მ. ჯორბენაძის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. ჭიჭილეიშვილისა და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის ლ. ჭელიძის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 74 (სამოცდათოთხმეტი)-ით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფერწერა - 3 ადგილი;
არქიტექტურა - 7 ადგილი;
ინტერიერის დიზაინი -7 ადგილი;
ტანსაცმლის დიზაინი - 7 ადგილი;
კინორეჟისურა - 5 ადგილი;
დრამატული თეატრის რეჟისურა - 2 ადგილი;
დრამისა და კინოს სამსახიობო - 8 ადგილი;
დრამისა და კინოს სამსახიობო (მიზნობრივი ჯგუფი) – 5 ადგილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება (IV საფეხური) -10 ადგილი;
კინო-ტელე ოპერატორი (IV საფეხური) -10 ადგილი;
ქორეოგრაფ-რეპეტიტორი (IV საფეხური) -10 ადგილი.

2. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 40 (ორმოცი)-ით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ხელოვნებათმცოდნეობა -10 ადგილი;
კინომცოდნე -10 ადგილი;
კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი - 20 ადგილი.

3. მუსიკის ფაკულტეტზე მისღები კონტინგენტი განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) - ით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური სიმღერა, ფორტეპიანო, აკადემიური დირიჟორობა, საორკესტრო (სიმებიანი; სასულე) მუსიკის თეორია) - 15 ადგილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ჯაზი (ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი - V საფეხური) - 10 ადგილი.

4. 2012-2013 სასწავლო წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ბალავარიატში მისაღები კონტინგენტის პროგრამული დაფინანსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები:

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - 14 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფერწერა - 1 ადგილი;
არქიტექტურა - 2 ადგილი;
ინტერიერის დიზაინი -2 ადგილი;
ტანსაცმლის დიზაინი - 2 ადგილი;
კინორეჟისურა - 2 ადგილი;
დრამატული თეატრის რეჟისურა - 1;
დრამისა და კინოს სამსახიობო - 2 ადგილი;
დრამისა და კინოს სამსახიობო (მიზნობრივი ჯგუფი) – 2 ადგილი.

მუსიკის ფაკულტეტი - 5 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკადემიური სიმღერა - 2 ადგილი;
ფორტეპიანო - 1 ადგილი;
აკადემიური დირიჟორობა - 1 ადგილი;
მუსიკის თეორია - 1 ადგილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ჯაზი (V საფეხური) - 2 ადგილი.

5. საორკესტრო (სიმებიანი, სასულე) საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით ჩარიცხულ ყველა სტუდენტს მიეცეს პროგრამული დაფინანსება.

6. მე-4 პუნქტით გამოყოფილ ადგილებზე პროგრამული დაფინასება განხორციელდეს ბაკალავრიატში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირველი კურსის სტუდენტებზე.

7. ცნობად იქნას მიღებული, რომ ფაკულტეტების სპეციალობებზე კონტინგენტის გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს დეკანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

9. აღნიშნული დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

10. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

11. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე **ე. მესხია**